31 მარტი, 1918 წლისა. ფასი ნომრისა 80 კაპ.

წელიწადი პირველი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახალი სიტყვა

№ 3. ორკვირეული ჟურნალი. № 3.

შემდეგი № გამოვა 30 აპრილს ახალი სტილით.

მიიღება ხელის მოწერა სასულიერო მთავრობისაგან დამოუკიდებელ ორკვირულ ჟურნალ „ახალ სიტყვაზე.“ ჟურნალის მიზანია ჩვენის ეკკლესიის ცხოვრების განახლება წმ. სახარების ნიადაგზე და ბრძოლა უსამართლობასთან და ფარისევლობასთან სასულიერო უწყებაში.

ჟურნალში თანამშრომლობაზე თანხმობა განუცხადეს რედაქციას: დეკ. კ. კეკელიძემ, კ. ცინცაძემ, ბ. ვასილ ბარნოვმა, ი. ბერიაშვილმა, მღვდ. ი. შუბლაძემ, ლ. წულაძემ, ეპ. ჩხაიძემ, კ. ჯავახიამ, კ. გძელმა, ქრ. ციცქიშვილმა, ბ. ახუთელმა, ჯაჭვაძემ, ხოსროიანმა და სხვ.

ხელის მოწერის ფასი ნახევარის წლით ცხრა მანეთია. ცალკე ნომერი ოთხი აბაზი. საგამომცემლო ამბანაგობის გადასახადი ათი თუმანია.

რედაქცია სთხოვს სამრევლო საბჭოებს, შეგნებულ სასულიერო და საერო მორწმუნე პირთ დახმარება აღმოუჩინონ მას ჟურნალის გამოწერით და ერთ დროული შემოწირულებით სარედაქციო ფონდისათვის.

ფული მიიღება რედაქციის მოლარე დეკ. ანტონ თოთიბაძესთან: ტფილისი, სიონის ტაძრის ეზოში.

სარედაქციო მასალები და წერილები უნდა გამოიგზავნოს სარედაქციო კოლლეგიის რწმუნებულ მღ. ქრ. ციცქიშვილთან: ტფილისი, კაბგეროვის ქუჩა, № 47. რედაქცია იმავე ქუჩაზე: № 51.

ტფილისი 31 მარტს.

ჩვენი ჟურნალის არსებობამ, როგორც მოსალოდნელი იყო, ზოგიერთნი ძალიან გაანაწყენა. ამბობენ ეს სასულიერო მთავრობისაგან დამოუკიდებელი ჟურნალი არ უნდა არსებობდეს, რადგან ის განხეთქილების და შფოთის ნიშანი და მიზეზი იქნებაო. ჩვენდა სასიხარულოდ, შეგნებული ნაწილი სამღვდელოებისა ასე არ უცქერის საქმეს და საჭიროდ სცნობს ასეთს ორგანოს არსებობას. მართალიც არის, ოფიციოზი, რაც უნდა კეთილი განწყობილი იყოს საერთო საქმისადმი, ისე თავისუფლად და, საჭიროების მიხედვით, მოურიდებლად ვერ აღიმაღლებს სიმართლის ხმას, როგორც სასურველია. და სადაც დამოუკიდებელ სიტყვას გასავალი არა აქვს, იქ ჰაერი სქელდება, ჩნდება ჭაობი, სიმყრალეში მიეჩყუმპალე ქვეშძრომნი და ბაყაყები ამას ვხედავდით დღემდისაც და ვხედავთ დღესაც. მიუხედავათ მრავალ სართულიან თავისუფლებათა, ამა დააკვირდით რა ეგსგავსი სახის ადამიანებმა, ვითომ სასულიერო პირებმა, წამოყენეს თავი, და მოიკალათეს იქ, სადაც შეთანხმებული მუშაობა შეიძლებოდა გაჩაღებულიყო. რათ ხდება ესა?—იმიტომ რომ შეცდომა ჩავიდინეთ. და ყოველ შეცდომას დანახვისა და შეგნების გარდა უნდა ხმამაღლა თქმა კიარა, ყვირილი. შეცდომა კი ყველას

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოუვა, როგორც კერძო კაცს, ისე საპატიო კრებულსაც. ამას გვასწავლებს ისტორია და ყოველ დღიური ცხოვრება. რა ვუყოთ, რომ ეს, თუ ის პირი გარისხდება, როცა მის ღერსება—ულირსებას შეეხებიან. ძალიან ხშირად რისხვა სიმტყუვნის ნიშანია ხოლმე. თუ ვატყობთ, რომ ესა, თუ ის პირი მავნებელია და არ შეეფერება თავისს ადგილს, გზა მშვიდობისა უნდა დავულოცოთ და თუ ნებით არა, ძალით უნდა მივაბრძანოთ.

საქართველოს ეკლესია ისეთს კრიტიკულ მდგომარეობაშია, რომ მას ეჭირვება არა შაბლონური მოღვაწენი, რომელთაც რუს ეპისკოპოს-მიტროპოლიტების ბაძვით, ჰგონიათ რომ შეიძლებოდეს ეკკლესიის მმართველობის მთელი სიბრძნის ამოწურვა. საეკკლესიო მოღვაწეებად ვერ გამოდგებიან განდიდ. მადით დასნეულეულებული პირები, ვერც ისეთნი, რომელნიც გუნდრუკს უკმევდენ „უწმინდეს“ და უმართებელესს“ სინოდს, მის წევრებს და ობერპროკურორებს და მუდამ მათ შორის ცდილობდენ ტრიალს, როდესაც კი მოახერხებდენ ხოლმე ამას. ეკკლესიის მესვეურად არ გამოდგება დღეს არც ისეთი პირნი, რომელნიც საქართველოს ეკკლესიის აყვავებას ჰხედავდენ სინოდის რეჟიმის ხელქვეითობაში და არ რცხვენოდათ მთელი დიდი ტომები ესტამბათ სინოდის და რუს ეგზარხოსების სახოტბოდ. საქართველოს ეკკლესიას ვერას შემატებს ისეთი პიროვნებანიც, რომელნიც მუდამ რუსეთისაკენ იცქირებოდენ შემოსავლიანი ეპარქიები ეშოვნათ და ამისათვის ახერხებდენ თავისს „თან დაყოლილ“ ნიჭით, რომ გრიშკა რასპუტინის სალონშიაც კი ამოეყოთ თავი... ასეთი პირები უნდა გაშორდენ საქართველოს ეკკლესიას. ამათთანა ადამიანებს არც საქართველოს ეკკლესიისათვის და არც ხალხისათვის არასოდეს არ შესტკიოდათ გული და ვერც მომავალში შეიძლებენ გარდაქმნან თავი თვისი. ესენი ვერ გაგვიწევენ გაბრიელობას და ალექსანდრეობას...

ჩვენ თუ ასეთ პირებზედ მივუთითებთ, არა იმიტომ, რომ მათი პირადობა გვაინტერესებდეს, არამედ შევიგნოთ და შევაგნებიოთ სხვასაც, რომ საზოგადო საქმეს მივუჩინოთ გულწრფელნი მუშაკნი და არა ფარისეველნი. ჩვენ იმდენად გვაინტერესებენ ისინი, რამდენადაც ხელს უშლიდენ და დღესაც უშლიან საზოგადო საქმეს. ამ მხრივ რამდენადაც პატარა ადგილი უჭირავს კაცს, იმდენად ნაკლები ყურადღება აქვს და უნდა ჰქონდეს მას მიქცეული და ვისაც მაღლა სასანთლეზე უნდა დგომა, თუ თვითონ ვერ გაანათებს მიდამოს, სინათლის შუქს მაინც უნდა გაუძღოს.

არა განყოფა-განხეთქილებაა ჩვენი მიზანი, არამედ შეერთება საქ. ეკლესიის ნამდვილ გულშემატკივარ მოწინავე საერულიერო და საერო პირთა, მათი შეკავშირება, საერთო გეგმის და აზრის შემუშავება საეკკლესიო და საზოგადოებრივ საკითხებზე. ჩვენ იმედი გვაქვს, რომ მორწმუნეთა საუკეთესო წარმომადგენელნი მოახერხებენ ამ ურთიერთ შორის შეკავშირებას და საერთო ენის გამონახვას, რომ მათ ხმას გასავალი და ფასიც ჰქონდეს საზოგადოებაში.

———

ჯილდოები-სათვის.

მოქალაქე ახუთელის წერილისა გამო („ახ. სიტყვა“ № 2) ჩვენ დავბეჭდით მკითხველებს, რომ რედაქცია უმახლოეს დროში გამოსთქვამდა თავის შეხედულებას არსებულ ჯილდოების შესახებ.

მთავარი საკითხი ასეთია: ეძლეოდეს თუ არა ქართულ ეკლესიის სამღვდელოებას არსებული გარეგანი ჯილდოები? ჩვენ გვგონია, რომ ამ კითხვაზე ორი სხვა და სხვანაირი პასუხი შეეძლებელია და ყოველ მოქალაქისთვის, სამღვდელოა იგი თუ საერო, ცხადია რომ თავისუფალ ეკლესიაში მოციქულების მოადგილე სამღვდელოებისათვის არავითარი გარეგანი ჯილდრები არ უნდა არსებობდეს გარდა სამწყსოს კეთილგანწყობილების და მადლობისა.

დანამდვილებით ვიცით, რომ იესო ქრისტე და მისი მოციქულები არც თვითონ ატარებდნენ და არც სხვებს ურიგებდნენ არავითარ ჯილდოს და, პირიქით, ტანისამოსით თუ სამკაულით გარეგნულად სრულიად არაფრით განირჩეოდნენ თანამედროვეთაგან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვით ჯილდოთა ისტორია შემდეგს გვეუბნება. საბერძნეთის ეკლესიაში, რომლისაგანაც გადმოიღო ჩვენმა ეკლესიამ საეკლესიო წესები და ჩვეულებანი, ჩვენებური, ქრონოლოგიურად პირველი, ჯილდო—საგვერდული (ნაბედრენიკი) არ არსებობდა. ეს რუსეთის შემოქმედებით ნიჭის ნაყოფი გახლავთ. სკუფია და მკერდის ყვითელი ჯვარი რუსის იმპერატორმა პავლე პირველმა შემოიღო 1797 წ. 18 დეკემბერს. ბერძნული კამილავკა კლიმატიურ პირობებისა გამო იძულებითი მიბაძვაა იმ მრგვალ, მაღალ და სქელ ტყავის ქუდისა, რომელსაც ალმოსავლეთში ყველანი ატარებდნენ მზის ცხარე სხივებისაგან თავის კანის დასაცავად, ხოლო რუსული კამილავკა გადმოღებულია რუსეთისვე თავადების მაუდის „კოლპაკიდან“. არც ერთ ამ სამკაულთაგანს ნამდვილი საეკლესიო სიმბოლიური მნიშვნელობა არა აქვს და არც ერთ მათგანს ჩვენი ეკლესია არა ხმაროობდა. დეკანოზი ძველს საბერძნეთში ერქვა ისეთ ტაძრების წინამძღვრებს, სადაც მრავალრიცხოვანნი კრებულნი იყვნენ. ეს წინამძღვრები ამავე ღროს დიდად განირჩეოდნენ კრებულის სხვა წევრთაგან ხნიერებით და გამოცდილებით, რასაც, ცხადია, არაფერი აქვს საერთო დღევანდელ დეკანოზობასთან, რომელიც მღვდელმთავარს შეუძლია მღვდლად კურთხევის დღესვე შესთავაზოს სრულიად გამოუცდელ ახალგაზდასაც. საქართველოში კი დეკანოზებად იწოდებოდნენ უმეტეს შემთხვევებში მძლავრ, სასწაულთ-მოქმედ ხატების შემსხვერპლენი, რომელნიც შეიძლებოდა ყოფილიყვნენ ერის კაცებიც, როგორც დღეს ხევსურეთშია. მიტრა, როგორც სამეფო გვირგვინის კომპილიაცია, დღეს, როდესაც „ცარიზმის“ იდეა დასამარდა, არ უნდა ეხუროს არამც თუ მღვდელს და ბერს, თვით მღვდელმთავარსაც კი, რომელიც სრული გაბხორციელება უნდა იყოს ქრისტიანულ სადაობის და ზე—კაცურ თავდაბლობისა. და ამ თვალსაზრისით მას, და მხოლოდ მას, ეკუთვნის ესრედ წოდებული ენქერი, რომელიც მსგავსებაა იმ პირსახოცისა, რითაც ქრისტემ მორჩილებით ფერხნი დასწმინდა მოციქულებს საიდუმლო სერობის დროს. ყოველ შემთხვევაში ენქერის საპამპულო ჯილდოდ ქცევა ცოდვაა..

სრულიად საქართველოს საეკლესიო კრებამ, სამწუხაროდ, ვერ მოასწრო ამ საკითხის მოწესრიგება. საკათოლიკოზო საბჭომაც დროზე ვერ მოიცალა ასეთ წვრილმანისათვის,—და ვიცით, რომ ზოგიერთმა ჩვენმა მღვდელმთავრებმა ფართოდ ისარგებლეს ძირითად დებულებათა სიჩუმით და წლის განმავლობაში ჯილდოები თავიანთ გულის სიუხვის სადემონსტრაციოდ და ყალბ მეგობრების შესაძენ იარაღად აქციეს...

ჩვენ ქვემოდ სიამოვნებით ვბეჭდავთ თბილელ მიტროპოლიტის ამიერიდან ისტორიულ რეზოლიუციას ჯილდოთა შესახებ. რასაკვირველია, გაცილებით უკეთესი იქნებოდა, რომ მეუფე ლეონიდი, როგორც თვითონ სწერს, „უსიამოვნო გამონაკლისად დარჩენილ იყო“ და არავინ დაეჯილდოებინა, ვინაიდგან დანამდვილებით ვიცით, რომ ზოგიერთები მხოლოდ იმისათვის დაყაბულდნენ მიცემულ ჯილდოების მიღებაზე, რომ პატივცემულ მღვდელმთავრისთვის არ ეწყენინებიათ. მაგრამ ამ რეზოლიუციაში უმთავრეს ყურადღების ღირსი ის გარემოებაა, რომ თვით მთავრობასაც არსებული ჯილდოები „პრინციპიალურად არა სასურველად მიაჩნია“. მაშ ვისთვის არის საჭირო ისინი? სამწყოსთვის არა, ვინაიდგან ერს არას გამოადგება უშინაარსო ნაშთი წეს-აგებულ რეჟიმისა. თვით დაჯილდოებულთათვის არა: ვინაიდგან ისინი პირიქით ამადლიან მღვდელმთავარს ასეთ დროში ჯილდოს მიღებას. საკათოლიკოზო საბჭო კი არსებითად ვერ გადაჭრის ასეთ საკითხს.

ამიტომ ჩვენ ასეთი წინადადებ შემოგვაქვს. საკათოლიკოზო საბჭომ ამაზე სრული მოხსენება წარუდგინოს მომავალ საეკლესიო კრებას, რომელიც უეჭველია მოსპობს ყოველსავე ჯილდოს და მაშინ წარჩინებულთ აეყაროთ ყოველნაირი ჯილდოები საგვერდულიდან მოყოლებული დეკანოზობამდე, ვინაიდგან დეკანოზობაც კი არ არის კურთხევა (ქირატონია), არამედ წესებრივი ხელდასხმა (ქიროტესია), რომელსაც საიდუმლოების ძალა და მნიშვნელობა არა აქვს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფიქრები გარდახვეწილისა.

სამ წელიწად ნახევარი ვიყავ მოშორებული ჩემ მიწა-წყალს, ჩემ მშვენიერს სამშობლოს... იშვიათად შევხვდებოდი ხოლმე ქართველ ადამიანს და ვინც უნდა ყოფილიყო, თუნდ გადამთიელი, სიხარულით მივესალმებოდით და მოვიკითხამდით ერთმანეთს და ნატვრა ჩვენი ის იყო, კიდევ შევყოფოდით ერთმანეთს და მალე დავბრუნებულიყავით ჩვენს სამოთხისებურ მხარეში. იქ წოდებას და პარტიობას ადგილი არ ჰქონდა, მხოლოდ ქართველი ქართველს ვუმზერდით და საქართველოს ამბებს ერთმანეთს ვუზიარებდით...

მარტის გასულზე გაზეთებიდან ამოვიკითხე ჩვენი ეკლესიის თვით თავობის აღდგენის ამბავი, ბავშვივით გულმა ჩქარალო დამიწყო და სიხარულის ცრემლებიც კი გადმომცვივდა. მნახველთ მიკიჟინეს: ქართველები სეპარატისტები ხართ, გამოყოფა გსურთ რუსეთიდან, იმიტომ მოითხოვეთ და აღიდგინეთ კიდევაც ავტოკეფალია. მომაგონდა ჩვენებური „მოკეთენები“: აქაც ხომ ამასვე გვიკიჟინებდენ,— ღმერთმა აპატიოსთ.

ამ რამდენიმე კვირის წინ გახარებული დავბრუნდი სამშობლოში: მამულის მოგონებამ და მის მალე ნახვის მოლოდინმა გზაში განცდილი წვალება და ვაი-ვაგლახი ადვილად ამატანია. მოვედი შინ და რა ვნახე: დაქუცმაცებული, პარტიებად დაყოფილი დაქსქსული ისედაც პატარა ჩემი ერი! შობილს მშობელისა არა ეყურება-რა და ნაშობი არ ინდობს მშობელსა, მამული ჩავარდნილა განსაცდელში და ჩვენებს კი—თავი მოაქვთ, ჩემი პარტია უკეთესია, არა ჩემია. დავწყებიათ, ძალა ერთობაშია, ხოლო ერთობა უნდა აშენდეს სიყვარულზე და ერთმანეთის დახმარებაზედ. მამულის წინაშე კერძოობას და პარტიობას ადგილი არ უნდა ჰქონდეს, მხოლოდ მაშინ ველირსებით ნატვრის შესრულებას, მამულის აყვავებას...

ი. ჩეკურაშვილი.

1. მარტი.

იმერეთის ეპისკოპოზი გაბრიელ.

ოცდა ორი წელიწადი შესრულდა ამა 1918 წლის 26 იანვარს, რაც გარდაიცვალა სულ მნათი გაბრიელ ეპისკოპოზი.

ფას დაუდებელია გაბრიელის შრომა ყოველთვის და ყოველ დარგში ჩვენს ქვეყანაში. საითაც შეიჭრებოდა იგი, ყველგან სინათლეს ჰფენდა, ყველაფერში მისი გამჭრიახი გონება დაღს აჩენდა. ის მარტო სიტყვით კი არა, საქმითაც იყო უბადლო, თავ-დაუზოგავი მწყემსი, სიტყვის ფართე მნიშვნელობით. მან ხომ სახარებასა-მებრ „სული დასდო ცხოვართათვის“, ეს იმ დროს, როცა ყველასთვის თქმადა საქმიანობა შეზღუდული, შეკვეცილი იყო. მაშინ „ყველას საცო ედო პირზე და კარი ძნელი ბაგეთა მათთა“.

მოვიყვან ამჟამად მხოლოდ ერთს ნიმუშს იმის მოღვაწეობისას **სამშობლო ენის წარმატებისათვის**. 13 ქრისტეშობისთვეს 1868 წ., № 359ბ ქვეშე ცირკულიარულათ ის შემდეგს უწერს „ბლაღოჩინებს“: „მიკვირსფრიად იმერეთის ეპარქიის სამრევლო მღვდლებთა გულგრილობა ყოველთა ზედა სასარგებლო საქმესა და სწავლის შეძენასა. წინეთ ამისა მე ვაცნობე ბლაღოჩინებს, რომ თფილისში იბეჭდება სასოფლო გაზეთი „რომელიც“ ფრიად საჭირო და სასარგებლო არის სოფლის მცხოვრებთათვის და წინადადება მივეცი გამოწერა მისი, მაგრამ აქობამდე არავისაგან არ ისმის არაფერი... ახლა ფასი იმა გაზეთისა მომავალი წლიდან შემცირდება ვიდრე ოთხ მანეთამდე წელიწადში. მართალია თითო პირს გაუძნელდება გამოწერა, მაგრამ შეიძლება რომ ოთხმა სამღვდელომ ერთი ეკზემპლიარი გამოიწეროს; ამ სახით თითო მღვდელს ხ დება წელიწადში ერთი მანეთი, რომელიც არავისთვინ არ იქნება დასამძიმებელი.

გაცნობებ რა ამისათვის, ვიმედოვნებ რომ თქვენ ეცდებით შეეწიოთ ეს რეთსა კეთილსა საქმესა **სამშობლო ენის წარმატებისათვის** (ხაზი ჩვენია). შემდგომისათვის მაცნობეთ ორი კვირის განმავლობაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაბრიელ ეპისკოპოზი იმერეთისა.“

ასეთი იშვიათი ენერგიის მქონე და ჭეშმარიტი მოძღვარი დაჰკარგა საქართველომ ამ ოცდა ორი წლის წინეთ.

კ. გძელი.

საეწესარო წვრილმანები.

მთელი წლის გარემოებათა მიმდინარეობამ საკმარისზე მეტად დაამტკიცა, რომ მარტო თვით თავობის მოპოვება და მმართველთა სახელების და ფორმის გამოცვლა არა კმარა. პირიქით, ეს გარეგნული ზეიმი, რომელიც ძლიერ იაფად გვერგო საერთო რევოლიუციის წყალობით, ერთის მხრით მავნებელიც აღმოჩნდა: მან ჩვენ დაგვათრო და გაგვაბრუა, ჩვენი თავი ძლევამოსილ გმირებად მოგვაჩვენა, ხანგრძლივ შესასვენებლად გაგვაჩერა, შემოქმედებითი აღტაცება გაგვინელა და თვითმოქმედების მაჯა მოგვიდუნა, სულ ერთია, ჩვენს მაგივრად ისინი გააკეთებენ, ვინც ჩვენ სამოქმედოდ ავირჩიეთო...

გასაკეთებელი კი ბევრი და ძლიერ ბევრიცა გვაქვს: ძირითად რეფორმებიდან დაწყებული უბრალო, გარეგნულ, პირველ შეხედვით უმნიშვნელო, მაგრამ დამახასიათებელ წვრილმანებამდე. სწორედ ამ გარეგნულ წვრილმანებზე მსურს შევაჩერო ამ ჟამად მკითხველის ყურადღება, ვინაიდან ხშირად დიადი საქმეები წვრილმანებით ამოიწურება. ცნობილია: ზღვა წვეთებისაგან შესდგება!

მაგალითად, ვიცით, რომ ქართველობა რუსეთის სინოდისაგან განთავისუფლდა და სლავური ენა ჩვენთვის უცხო გახდა. ყველაფერი სხვა მოსალოდნელია, განდიდებიდან სულ განადგურებამდე, მაგრამ ყოვლად შეუძლებელია აღსდგეს ის და იმნაირი ურთიერთობა ჩვენის ეკლესიის და რუსეთის სინოდის შორის, რომელიც არსებობდა 1917 წ. მარტამდინ. მაშ რა მიზეზია, რომ დღეს ც, დამოუკიდებლობის მეორე წელიწადს, პავლე პირველის 1797 წლისა და ნიკოლოზ მეორის 1895 წლისა რუსული სტილის და სლავურად ზედწარწერილი ჯვრები უმშვენებენ გულ-მკერდსა ჩვენს სამღვდელოებას?!? ხუთუ ეს ჯვარი არ უნდა შეცვლილიყო სხვა სახით თუ 1917 წლის 14 მარტს, 8 ენკენისთვეს და 1 ღვინობისთვეს არა და ვერა, ამა წლის 11 მარტს მაინც. მასალის უქონლობა და სიძვირე აქ საბაბად მოსატანი არ არის: საბედნიეროთ, ისეთი ზომის ჯვრები ჩამოუსხმევინებია სინოდს, რომ, თუ გონიერის პლასტიკის ნორმას დავიცავთ, თვითეულ ჩვენი ჯვრიდან წმ. ნინოს ჯვრის ხუთიექვსი ნორმალური ნასახი გამოვიდოდა. მაშასადამე, ეროვნულ ჯვარსაც შევქმნიდით და ჯვრებსაც იაფად შევიძენდით. მაგრამ კერძო ინიციატივა და გემოვნება ამ შემთხვევაში უხერხულია, — და დღესაც არხეინად ვატარებთ წმ. სიმბოლოს ისეთ ნასახს, რომელიც გვაგონებს სამარცხვინო მონობის ხანას და რეკლამისებრ აქვეყნებს ჩვენს უმოქმედებას.

მაგრამ თუ მკერდის ჯვრებში ერთგვაროობა მაინც არის დაცული, **საეკლესიო ბეჭდის** საქმეში უმწერვალესი თავისუფლება მიუცია სამღვდელოებისათვის რუსეთის სინოდს და ვის როგორც მოპრიანებია, ისეთი ბეჭედი გაუჩენია. აქ ნახავთ ყოველ გვარ მოხაზულ-მოხატულობას ბიზანტიის სტილიდან სპარსულ ორნამენტამდე და სწორედ ბაბილონის გოდოლის დროისებურ ენაზედ: სლავურად, რუსულად, ხუცურად და მხედრულ-ქართულად. მერე რა გნებავთ არ ეხატოს ზედა: მრავალ გუმბათიანი თუ სრულიად უგუმბათო საყდარი, არწივი, ჯვარი, გვირგვინი და ხან სულ არაფერი, ჯუჯრუტანების გარდა. და აკი ამიტომაც ხალხმა შესაფერისი წარმოდგენა შეიმუშავა ჩვენს ბეჭედზე: ძველ გალესილ შაურიანს რომ ნახავენ, ეკლესიის ბეჭდად გამოდგებაო, იტყვიან ხუმრობით... ნუ თუ საკმარისი დრო არ გასულა, რომ შეგვემუშავებინა ნამდვილი ქართული, ნამდვილი საეკლესიო ბეჭედი!? თუ ისევ კერძო პირთა ფანტაზიას დავუთმოთ ადგილი?

ესრედ წოდებულ **საბლანკო შტემპელების** ნაირნაირობაზე ლაპარაკიც მეტია. პროვინციებს და სოფლებს რომ თავი დავანებოთ, თვით ჩვენ სატახტო ქალაქში — თბილისში თუ ზოგიერთ წინამძღვრებმა თავისი ნებით შე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოიღეს წარწერა: „სრულიად საქართველოს საკათოლიკოზოს,—სხვები, სათანადო განკარგულების უქონლობისა გამო, არხეინად განაგრძნობენ „ვედომსტვო პრავოსლავნაღო ისპოვედანია“-ს სახელით მიწერ-მოწერას. აქიდგან წარმოიდგინეთ, რა სხვადასხვაობა იქნება ამ მხრივ სოფლებში. ნუ თუ ეს საკითხი პირველს დღეებშივე მოწესრიგების ღირსი არ იყო!?

დაუმატეთ ამას ისიც, რომ არ ვიცით, ვატაროთ თუ არა იმ ჯილდოების ნიშნები, რითაც უხვად დაუჯილდოვებივართ სინოდს და ექსარხოსებს, რა ჯილდოები დარჩა და რომელი მათგანი მოისპო. სწორედ არ ვიცით, როგორ და რა წოდებით უნდა ვიხსენიებდეთ წირვა ლოცვაზედ ჩვენს მთავრობას, პატრიარქ-კათოლიკოზსა, მიტროპოლიტებს და ეპისკოპოსებს,—და იძულებულნი ვართ, ზოგმა სიონის ტაძარში ვირბინოთ, აბა ყური მოვკრა, იქ როგორ იხსენიებენო, ზოგმა სხვებს, ჩვენსავით ბუნდოვანად მცოდნეთ მივბაძოთ და ზოგმა კიდევ სრული თავისუფლება მივცეთ ჩვენს ფანტაზიას და ისე მოვიხსენიოთ, ვისაც როგორაც ჩიგვაგონებს საკუთარი პოეტური ნიჭი.

რასაკვირველია, ეს ყველაფერი წვრილმანია. მაგრამ წვრილმანი სხვადასხვაგვარია. ზოგი დამახასიათებელი წვრილმანი უსიცოცხლო მსხვილმანზე ყურადსაღებია. ზემოდ ჩამოთვლილი წვრილმანები სამწუხარო წვრილმანებია პრაქტიკულ მნიშვნელობისა და ამიტომ ჯერ არს ყურადღება მივაქციოთ მათ ეხლა მაინც, როცა წლის თავი გადავიხადეთ და ეურიდიულ ჰასაკში შევდგით ფეხი.

ახელი.

განთიადი.

(სუსტი მიბაძვა აკაკისა)

ცა-ფირუზ, ხმელეთ-ზურმუხტო,
ქართველთ აკვანო მხარეო,
კმაგეყო მრავალ წამებულს,
რაც დღემდე ცრემლი ღვარეო!
კვლავ გაგინათლდა წყვდიადი,
შეგემკო არე-მარეო.
აგიყვავილდა წიაღი,
მოწალკოტ—მობალნარეო.
გელირსა, რასაც ჰნატრობდი
იდუმალ გულ მდუღარეო:
შენს სახლში გერად ალარ ხარ,
სხვის ნებად მომნაბარეო,
თავის თავადი შეიქენ,
დასტკბი და გაიხარეო!
აბა შენ იცი, სულისდგმავ,
სწორ უპოვარო მხარეო,
ვით შეიფერებ ამ მადლსა,
როგორც შინ, ისე გარეო!
ნატვრის თვალს მოვლა სჭირია,
თან დაცვაც ერთობ ცხარეო...
აქ გინდა გმირთა გმირობა
და გული მგრძნობიარეო,
გამჭრიახობა, გაქვრეტა,
ნამუსის სინარნარეო,
მსხვერპლი, მოწამის გვირგვინი,
ბრწყინვალე მოელვარეო.
უმსხვერპლოდ მზე არ იმზევებს,
არცა გიმთვარებს მთვარეო,
არ შეგივრდომებს ის დროშაც,
რომლის ქვეშ შეეფარეო!
ამაღლდი, აბუმბვრაზდი,
ეეგზენ, ტურფა მხარეო,
გაერთდი, გაკაჟ-ფოლადდი,
ეშვები უკუ ჰყარეო,
ხელთა აიღე ფარ-ხმალი,
გმირულ ღვაწლს დაეჩქარეო,
და შეიმტკიცე ის მადლი,
რომელსაც ეზიარეო!
კურთხეულმა იყავნ ამ გზაზედ,
თვალთა სინათლე მხარეო,
აგცდეს კვლავ ყოფნა ბაბილონს
და მუნ ტყვეობა მწარეო!

მლ. ლ. წულაძე.

მარტის ზ-ს ჩშიც.
ს. ჭანჭათი.

ქრონიკა

— ტრაპიზონის სამშვიდობო კონფერენციის მეოთხე სხდომაზედ ჩვენის დელეგაციის თავმჯდომარემ აკ. ჩხენკელმა შე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მდეგი განაცხადა: „ამ ჟამად ამიერკავკასიაში მოქმედებს კანონი სინიდისის თავისუფლების შესახებ. კონსტიტუცია, რომელსაც სეიმი იმუშავებს, უეჭველად გამოჰყოფს ეკლესიას სახელმწიფოსაგან და მოსპობს მართლ-მადიდებელ ეკლესიის ბატონობის ნაშთებს“.

ვისაც ასხენ ყურნი სმენად, ისმინენ! დროა სამრევლოებმა საზღვარ გარეთისებურად ისე მოაწყონ საეკლესიო მეურნეობა, რომ მათი მოძღვრები ხაზინას არ შესცქეროდნენ თვეში რაღაცა ოციოდე მანეთისათვის.

——

— თბილისის სამიტროპოლიტო საბჭოს ოქმს, ეპარქიის ოცდა ათამდე სასულიერო პირის დაჯილდოების შესახებ, თბილელმა მიტროპოლიტმა ლეონიდემ შემდეგი რეზოლიუცია დააწერა: „8 მარტს 1918 წ. როგორც მე, ისე თბილისის საეპარქიო საბჭოს წევრებს პრინციპიალურად არა სასურველად მიგვაჩნდა და დღესაც მიგვაჩნია ძველებურ წესით დჯილდოება სამღვდელოებისა. ამის გამო თბილისის ეპარქიაში ჯერ თითქმის არავინ დაჯილდოებულა. მაგრამ რადგანაც, ერთის მხრით, საქართველოს ეკლესიის მართვა-გამგეობის დებულება არ იძლევა დადებითს პასუხს ამის შესახებ, ხოლო, მეორე მხრით, ყველა ქართველი მღვდელმთავრები განაგრძობენ ხელქვეით სამღვდელო პირთა დაჯილდოებას, მეც, რომ უსიამოვნო გამონაკლისს დ არ დავრჩე, ვიდრე საკათოლიკოზო საბჭო ინებებს სამღვდელო პირთა დაჯილდოების შესახებ გადაჭრილ დადგენილებების გამოტანას, რის მოსახდენათაც მახლობელ მომავალში აღძრულ იქნება ჩემმიერ შუამდგომლობა,—ვასაჩუქრებ წარმოდგენილ სასულიერო პირებს ჟურნალში აღნიშნულ ჯილდოებით“.

——

— ხარფუსის სამრევლო საბჭოის მრევლთა შორის უმწეოთათვის დამხმარებელმა კასამ უკვე დაიწყო მოქმედება. მისცა ამ თვეში პურის სასყიდლათ: 1) ისაკ გურგენიძის ობლებს—20 მ.; 2) გრიგორი კოვლელაშვილის—15 მ.; 3) მარე ბეჩიანიძის 10 მ.; 4) ალექსანდრე კეშაშოვის 10 მ.; 5) ქვრივ ანასტასია აივაზოვისას 10 მ. და 6) ობოლ ქეთო ბერძენოვს 20 მ. კასაში დარჩა კიდევ 105 მ.

——

— 6 მარტს შესდგა საკათოლიკოსო საბჭოს და სასამართლოს შეერთებული კრება, რომელმაც სხვა საკითხთა შორის განიხილა საქმე ბერ მონაზვნის მირიანის და მღ. ტიმოთე ბაკურაძისაგან 4 მარტს ტაძარში წირვის დროს შეუსაბამო ქცევის შესახებ და ერთხმად დაადგინა: აღნიშნულ სამღვდელო პირთ დროებით აეკვეთოს მღვდელმსახურება და დაევალოს სათანადო საეპარქიო საბჭოებს გაარჩიონ მათი საქმე შესაფერ მსჯავრის დასადებად.

——

— თბილისის საოლქო სასამართლოს და სამიტროპოლიტო სასამართლოს წევრმა პეტრე ბესარიონის-ძე კიზირიამ ტფილისელ მიტროპოლიტს ლეონიდეს ამ დღეებში შემდეგის წერილით მიმართა:

——

— „სასამართლო დაწესებულებათა დაფუძნების 246 მუხლის ძალით (Учрежд. суд. установл.) მე, როგორც სამოქალაქო სასამართლოს წევრს, არ მაქვს უფლება ვიმსახურო სხვა დაწესებულებაში და ამისათვის გთხოვთ უმორჩილესად, თქვენო ყოვლად უსამღვდელოესობავ, შეიტანოთ საბჭოში წინადადება ჩემი საეპარქიო წევრობიდან განთავისუფლების შესახებ. ვწუხვარ გულწრფელად, რომ კანონი მიშლის განვაგრძო ჩემთვის ფრიად სასიამოვნო თანამშრომლობა თქვენის ყოვლად უსამღვდელოების ბრძნულის და ლმობიერის ხელმძღვანელობის ქვეშე.“

——

— უკვე შეკვეთილია საკათოლიკოსო საბჭოს განკარგულებით ქართულ ოდიკის დამზადება, მაგრამ საქმე ლიტოგრ ფიის მხრივ სხვა და სხვა გარემოებისა გამო ჯერ-ჯეროობით ბრკოლდება.

——

— ამიერ კავკასიის კომისარიატმა შეატყობინა საკათოლიკოსო საბჭოს, რომ ქა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რთველ სამღვდელოებას გაეხსნა ჯამაგირების კრედიტი ძველებურ ანგარიშით, თბილისის სახაზინო პალატიდან 358,252 მან. და ქუთაისში 495,371 მან.

— — —

— თბილისის პეტრე-პავლეს სასაფლაოს ეკლესიის სამრევლო საბჭომ ასი მან. გადასდო ეკლესიის თანხიდან „ახალ სიტყვის“ საგამომცემელო ფონდის გასაძლიერებლად.

— —

— თებერვლის და მარტის განმავლობაში საკათოლიკოსო საბჭოს და სასამართლოს კრებები წარმოებდა ტფილელ მიტროპოლიტის თავჯდომარეობით.

— —

— 22 მარტს საკათოლიკოსო საბჭოს განკარგულებით დაჭერილი იქნა ყოფილ სასინოდო კონტორის და საეგზარხოსო კანცელარიის არხივები, შენობები და მოძრავი ქონება. რეკტორის, დეკ. კ. კეკელიძის განკარგულებით ჩაბარებულ იქმნა ტფილისის სასულიერო სემინარიის შენობები და ყველა მოძრავი ქონება, რომელიც ჩამოერთვა რუსების წარმომადგენელთა ეკონომისს.

— —

— სრულიად საქართველოს პატრიარქ-კათოლიკოსი კირიონ მეორე, ავათმყოფობის შემდეგ, 28 მარტს პირველად დაესწრო საკათოლიკოზო საბჭოს სხდომას. სხვათა შორის ასარჩევი იყო საბჭოს კანცელარიის გამგე; მისმა უწმინდესობამ ამ თანამდებობაზე დაასახელა ყოფილ სინოდალურ კანტორის მდივანი ალექსი დავითაშვილი, იმავე კანტორის პროკურ. პოპოვის და პროფ. ბენეშევიჩის მარჯვენა ხელი. წევრებმა კი დაასახელეს ქვაშვეთის ტაძრის წინამძღვარი დეკ. კალ. ცინცაძე. ხანგრძლივ კამათის შემდეგ ერთხმად, წინადადებულ ერთისა, არჩეულ იქმნა მამა ცინცაძე, რასაც ქართველი სამღვდელოება სიამოვნებით ეგებება.

პროვინციის ცხოვრება.

I.

1917 წლის ქრისტესშობის თვის 19 ქ. ზესტაფონის საზოგადო საკრებულოში თავი მთეყარა ორი ოლქის სამღვდელო და საეკლესიო მსახურთ. მათი დღიური ჭორ-ვარამი გახლდათ „პური არსობისა“ დიდი კამათის შემდეგ ამოირჩიეს კომისია და მიანდვეს მას ამ საკითხის იქვე გადაწყვეტა. კომისიამაც აიღო დაიღო ეს საკითხი, და ერთის საათის შემდეგ შემოიტანა კრებაში სახელ-დახელოდ „გამომცხვარი ნიხრი“, რომელიც ერთხმად იქმნა მიღებული კრებისაგან. როცა იქ ერთმა დამსწრეთაგანმა გამოთქვა აზრი ამის შესახებ, რომ ეს დაღგენილება ნაჩქარევია, ამას დიდი აწონ-დაწონა, გამოძევა—გამორკვევა სჭირია და რომ უმთავრესად ასეთი რთული საკითხი უპირველესად მრევლის დასტურით უნდა სწყდებოდეს, რადგან ეს მის ჯიბეს ეხება და ჯიბეში სხვისი ხელის ფათური არაა საკადრისიო, ადგა ერთი „ნაჩინოვნიკარი“ სულიერო მამა და რიხიანად განაცხადა: შორს ჩვენგან აპეკუნობა, ვექილობა; ჩვენთავს ჩვენვე უნდა მოუაროთ, ვინ რა გაგვიკეთა, ზოგი მაძლარია და ის თავის ჭკუაზე მღერისო და სხვა და სხვა ლითაიებით შეამკო მოლაპარაკე. ამ მოძღვარს მეორე „შეგნებულმა მწყემსმა“ კვერი დაუკრა. კრებამ ნიხრის დამტკიცების მერე მოითხოვა ოქმში შეეტანათ შემდეგი: ის მღვდელი, რომელიც ამ მიღებულს ნიხრს (ჯვარის წერა 50 მ. წესის ასაგები 70 მ. და სხ.) დაარღვევს და მაზე ნაკლებს გადაახდევინებს მრევლს, ჯარიმათ გადაიხდის რამოდენიმე ეს მანეთსო.

ასე წარმოიდგინეთ: თქვენ გინდათ ვისმე პატივი სცეთ, არაფერი გადაახდევინოთ მღვდელ-მოქმედებაში და ამის უფლებას კი არავინ განიჭებს! ეს ნეტავი რომელი რევოლიუციის ნაყოფია!!...

ნაყოფიერი მუშაობაც ამას ჰქვია!..

კ. გძელი.

გამომცემელი „ახალ სიტყვის“ სარედაქციო კოლლეგიის რწმუნებული მდ. ქრ. ციცქიშვილი.

თბილისი, სტამბა „სორაპანი“.